N გ-21-03/311
11/02/2021

311-გ-21-03-2-202102111157

ფიზიკურ პირებს: არჩილ შატბერაშვილს

გიორგი გოცირიძეს

გიგა გუდაძეს

მამია გრიგოლიას

ბესარიონ წულაიას

გიორგი ყიფიანს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2021 წლის 18 თებერვალს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს „ფორმულას“ და შპს ,,ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ ფიზიკურ პირ არჩილ შატბერაშვილის, ბესარიონ წულაიას, გიგა გუდაძის, გიორგი გოცირიძის, გიორგი ყიფიანის და მამია გრიგოლიას საჩივრის განსახილველად მიღების საკითხი, ამასთან გაცნობებთ, რომ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამზადებელი სხდომა შეიძლება გადაიზარდოს დავის არსებითი განხილვის სხდომაში (საფუძველი: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N 21-10-246, 09/02/2021); არჩილ შატბერაშვილის, ბესარიონ წულაიას, გიგა გუდაძის, გიორგი გოცირიძის, გიორგი ყიფიანის და მამია გრიგოლიას საჩივარი (შ-21-9/594, 09.02.21)).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე

დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა N 21-10-246, 09/02/2021) თანდართული დოკუმენტაციით.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია